საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1936 წ. ივნისის 10 № 13 ტფილისი.

შინაარსი

სახელმწიფო მმართველობა.

77. სასოფლო აღმასრულებელთა შესახებ.

ფინანსები

78. „ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა თაობაზე„ გამოცემული დადგენილების 26 და 27 მუხლის შეცვლისა და 28 მუხლის გაუქმების შესახებ.

სახელმწიფო მმართველობა

77. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სასოფლო აღმასრულებელთა შესახებ.

რევოლუციონური წესრიგის და საზოგადოებრივი უშიშროების დაცვის გაძლიერებისა და სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დაცვისათვის სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. სასოფლო საბჭოებთან იმყოფებიან სასოფლო აღმასრულებელნი შემდეგი ნორმის მიხედვით:

ა) იმ დასახლებულ პუნქტებში, სადაც სასოფლო საბჭოა,—ერთი სასოფლო აღმასრულებელი მოსახლეობის 300 კაცზე;

ბ) დანარჩენ დასახლებულ პუნქტებში—ერთი სასოფლო აღმასრულებელი თითო დასახლებულ პუნქტზე.

2. სასოფლო აღმასრულებელნი ინიშნებიან სასოფლო საბჭოს დადგენილებით დასახლებული პუნქტის მუდმივ მცხოვრებთაგან რიგრიგობის წესით და 3 თვის ვადით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასოფლო აღმასრულებლად ინიშნებიან: მამაკაცნი ასაკით 18 წლიდან 50 წლამდე და ქალნი—18 წლიდან 45 წლამდე.

3. კოლმეურნენი სასოფლო აღმასრულებლად ინიშნებიან იმ კანდიდატთა რიცხვიდან, რომელთაც დაასახელებს კოლექტიური მეურნეობის გამგეობა.

სასოფლო აღმასრულებლად კოლექტიური მეურნეობის წევრის დანიშვნის დროს სასოფლო საბჭო მოვალეა მხედველობაში მიიღოს კოლექტიური მეურნეობის ინტერესები, კერძოდ, აღნიშნული მოვალეობა არ უნდა დააკისროს კოლექტიური მეურნეობის ისეთ წევრს, რომელიც განაგებს მეურნეობის ცალკეულ დარგს, განაგებს სასაქონლო ფერმას, ან რომელიც ბრიგადირია.

4. სასოფლო აღმასრულებლისათვის რაიმე მინდობილობის დაკისრებისას, სასოფლო საბჭოს და მილიციის ორგანოს მხედველობაში უნდა ჰქონდეს ის მოსაზრება, რომ სასოფლო აღმასრულებელმა ამ მინდობილობის ასრულება მოახერხოს უპირატესად არასამუშაო დროს.

უკეთუ სასოფლო აღმასრულებელი თავის მოვალეობას სამუშაო დღის განმავლობაში ასრულებს, კოლმეურნის მიერ სასოფლო აღმასრულებლის მოვალეობის ასრულებაზე დახარჯული დრო ჩაეთვლება მას, როგორც მისი ჩვეულებრივი მუშაობა კოლექტიურ მეურნეობაში, და მიერიცხება შრომა-დღეებს.

5. სასოფლო აღმასრულებლად არ შეიძლება იყოს ის პირი, რომელსაც ჩამორთმეული აქვს საარჩევნო უფლება, რომელსაც სასამართლო წესით შეზღუდული აქვს სახელმწიფო დაწესებულებებში თანამდებობის დაჭერის უფლება, რომელიც გადასახლებულია ან განდევნილი სასამართლოს და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის განსაკუთრებული თათბირის მიერ, რომელიც მიცემულია სამართალსა და გამოძიებაში, და რომელსაც აქვს ნასამართლეობა, რაც არ მოჰხსნია დადგენილი წესისამებრ.

ასეთი პირი, სასოფლო აღმასრულებლის მოვალეობის აღსრულების ნაცვლად, იბეგრება სპეციალური ადგილობრივი გამოსაღებით (26 და 27 მუხ. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აპრილის 3-ის დადგენილებისა „ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა შესახებ"—საქ. სსრ კან. კრ. 1936 წ. 13 №-ი, მუხ. 78).

6. სასოფლო აღმასრულებელს ეკისრება ხელი შეუწყოს სასოფლო საბჭოს და მილიციას:

ა) საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფაში დასახლებული პუნქტის ტერიტორიაზე;

ბ) ხულიგნობასთან და სხვა დანაშაულთან ბრძოლაში, კერძოდ, მილიციის ორგანოებისათვის ყველა დანაშაულისა და შემთხვევის შეტყობინებით;

გ) სახელმწიფო, საკოლმეურნეო და კოოპერაციული ქონების დაცვისათვის მეთვალყურეობის გაწევაში;

დ) დაპატიმრებულთა თანწაყოლაში უახლოეს პუნქტამდე, სადაც ისინი შეიძლება გადაეცეს მილიციას, ან თავისუფლების აღკვეთის ადგილამდე;

ე) დასახლებული პუნქტის სახანძრო და სასანიტარო მდგომარეობისათვის მეთვალყურეობის გაწევაში;

ვ) სავალდებულო დადგენილებათა დარღვევის წინააღმდეგ ღონისძიებათა მიღებაში;

ზ) სასამართლოს განაჩენების, გადაწყვეტილებებისა და დადგენილებების ასრულებაში.

7. სასოფლო აღმასრულებლისათვის სხვა რაიმე. მოვალეობის დაკისრება, გარდა მე-6 მუხლში ჩამოთვლილისა, არ შეიძლება.

8. მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც სასოფლო აღმასრულებელი თავის მოვალეობას ასრულებს, იგი განთავისუფლებულია ყველა სხვა ბეგარისაგან.

9. სასოფლო აღმასრულებელი უშუალოდ ექვემდებარება სასოფლო საბჭოს და თავისი მუშაობისათვის პასუხს აგებს მის წინაშე.

10. რევოლუციური წესრიგისა და საზოგადოებრივი უშიშროების დაცვისათვის საჭირო მუშაობის ასრულების დროს სასოფლო აღმასრულებელმა უნდა იხელმძღვანელოს მილიციის ორგანოების მითითებებით.

11. სასოფლო აღმასრულებელს მისთვის დაკისრებული მოვალეობის ასრულების დროს აქვს თანამდებობის პირის უფლება, და იგი პასუხს აგებს, როგორც თანამდებობის პირი. იგი მოვალეა თან იქონიოს სათანადო სახის მოწმობა და სამკერდე ნიშანი, რასაც მას აძლევს სასოფლო საბჭო.

12. უკეთუ სასოფლო აღმასრულებელი თავს აარიდებს თავისი მოვალეობის ასრულებას, იგი მიეცემა პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლების თანახმად.

13. ამა დადგენილების გამოცემისთანავე უქმდება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. აპრილის 26-ის დადგენილება „სოფლის აღმასრულებელთა შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-10 №-ი, მუხ. 126; 1934 წ. მე-19 №-ი მუხ. 158).

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ. ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. მდივანი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1936 წ. აპრილის 15. № 137/440.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 108 №-ში 1936 წ. მაისის 11.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფინანსები

78. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

„ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა თაობაზე“ გამოცემული დადგენილების 26 და 27 მუხლის შეცვლისა და 28 მუხლის გაუქმების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აპრილის 3-ის დადგენილებაში „ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-6 №-ი, მუხ. 71) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

1. 26. და 27 მუხლები მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„26 გამოსაღებით იმ პირთათვის, ვისაც უფლება არა აქვს შეასრულოს სასოფლო აღმასრულებლის მოვალეობა, იბეგრებიან ის პირნი, რომელთაც არ შეუძლიათ სასოფლო აღმასრულებლის მოვალეობის ასრულება იმის გამო, რომ ჩამორთმეული აქვთ საარჩევნო უფლება, შეზღუდული აქვთ სასამართლო წესით სახელმწიფო დაწესებულებებში თანამდებობის დაჭერის უფლება, გადასახლებულ თუ განდევნილ არიან სასამართლო წესით ან სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული განსაკუთრებული სათათბიროს დადგენილებით, მიცემულ არიან სამართალში და გამოძიებაში ან აქვთ ნასამართლეობა, რაც არ მოჰხსნიათ სათანადო წესით“.

„27. გამოსაღების რაოდენობას განსაზღვრავს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი 30 მანეთიდან 50 მანეთამდე წელიწადში თვითეული პირისათვის, რომელსაც სასოფლო აღმასრულებლის მოვალეობის ასრულების რიგი დაუდგა“.

2. 28 მუხლი გაუქმებულ იქნას.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. მდივანი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1936 წ. აპრილის 15. № 136/439.

ტფილისი.

ფასი 20 კაპ.

გამომცემელი საქ. სსრ ხ. კ. ს-ოს / საქმ. მმართველობა 1936 წ. № 25. 3/მ. **რედაქტორი ე. გამრეკელი**

ქაღალდის ფორმატი 62×94 სმ.; 1¼ ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი

გადაეცა სტამბას 28/IV; ხელმოწერილია დასაბეჭდად 14/V; ტირაჟი 2.500

თავლ. რწმ. № 87060 საქ.სახ.კომ.საბჭოს საქმ. მმართვ. სტამბა, ტფილისი. დაკვ. № 446